

«დროებაში» იყო ამას წინათ მოყვანილი, რომ ვლადიმირის გუბერნიის ერობაში სხობა უმალდეს მთავრობას, განკარგულება მოახდინეთ, რომ ჩვენს გუბერნიას ვალდებულნი ბითი სწავლა იყოს შემოღებული, რომ ყოველი გლეხი კაცი ვალდებული იყოს, წერაკითხვა მინც ასწავლას თავის შვილებსაო...

რი კ ე ლ ი ქ ა ლ ე ბ ი ა (ბიოგრაფიული სურათები), «უ ლ ტ ა რ ა» (მოთხრობა საფრანგეთის ცხოვრებიდან) და «ო ს ს ე ლ ი ს უ კ ა ნ ა ს კ ე ნ ი დ ე ნ ი» (ფრანკო-სლავი ორიგინალიდან შეესებული და დამატებული).

ამ წამთარში ჩვენებური გიმნაზიების დირექტორების კრებამ სხვათა შორის გადასწავილა, რომ თვითისის ორს გიმნაზიაში (კლასიკურსა და რეალურში) სწავლის ფასი უნდა მოემატოს. კლასიკური გიმნაზიის პირველს (მოსამზადებელს) კლასში მომავალი წლის იანვრიდან სავლის ფასი წელიწადში, თითო შაგირდზე, 16 მანეთი იქნება; შემდეგ ოთხ კლასში—24 მან. და უკანასკნელ სამს კლასში—30 მანეთი. რეალურ გიმნაზიაში უმცროსს ოთხ კლასში—20 მან. და უფროსს სამს კლასში—25 მანეთი წელიწადში.

რასაკვირველია, გიმნაზიების ბევრი საშუალება სჭირია და ამიტომ უმატებენ შაგირდებს სწავლის ფასს; მაგრამ მეორეს მხრით ამ სწავლის ფასის მომატებას ის შედეგი მოსდევს, რომ გიმნაზიებში მხოლოდ მდიდრებსა შეეძლებათ თავიანთი შვილების შეყვანა და გამოზრდა, რადგან ღარიბებს წელიწადში ორი და სამი თუმბის მიცემა ძალიან გაუჭირდებათ...

შარშან სოხუმში, უმაღლესის ბრძანებით, გაიხსნა საქალაქო სკოლა. წელს ეს სკოლა საშუალო სასწავლებლო პროგრამისა და გლეხთა პროგრამისა და ნიშნული ადგილია ბრიგი მცხოვრებლებისათვის; იმის სახარჯოთ, სხვათა შორის, უმაღლესის ბრძანებით, გადაუღვიათ 3,500 მანეთი ადგილობრივი შემოსავლიდან. პროგრამისაში ასწავლიან სამღვთო წერილს, რუსულ ენას, რუსეთის გეოგრაფიას, რუსეთის და შემოკლებით საზოგადო ისტორიას, არითმეტიკას, წერას, გალობას და ხელსაქმას. ამ პროგრამისათვის გაიშარება პანსიონი, სადაც ამ თავით ოცი ქალის ვაკანსია იქნება სახელმწიფო ხარჯითა. სახელმწიფო ხარჯით პანსიონში მხოლოდ მართლმადიდებელი სარწმუნოების ქალებს მიიღებენ. ვინც თავის ხარჯით შეიყვანს ქალს ამ პანსიონში, იმან წელიწადში 80 მან. უნდა აძლიოს და ამას გარდა პირველთა შეყვანაზე 25 მან. უნდა მისცეს.

გასულს მაისს ქ. ოზურგეთში უნდა ყოფილიყო სახალხო სკოლების მასწავლებლების კრება. ამ კრებაზე ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორს, უფ. ტროიეს, უნდა წაეკითხა რამდენიმე ლექცია იმის თაობაზე—თუ როგორ უნდა ასწავლონ იმათ სახალხო სკოლებში.

გაზ. «კავკაზში» იწერებინ, რომ უფ. ბაიერის კანთეშიაც უნახავს ისეთივე აკლამები, როგორც მცხეთის სიახლოვეს ნახა შარშან. მარინტელის კალონისათვის, იორის ნაპირას იმას აღმოუჩინა ათი აკლამა და თითო აკლამაში 5-6 კაცი ყოფილა თურმე დასაფლავებული.

«დროების» ვორრესპონდენცია

შორანის მარტა, მაისის 16.

დიდი ხანია რაც შორანდამ არაფერი ამბავი მისვლია «დროების» მკითხველებს. მართალია, აქ დიდი შესანიშნავი არა არის რა, მაგრამ ყურადღების ღირსი ამბავი აქ შეიძლება მოიხაზოს, თუ კარგი არა, ცუდი მაინცა, რკინის გზის თაობაზე ამბავი რამოდენიმე პირისაგან აქვს გაგებული «დროების» მკითხველებს და ამისათვის საქიროდ არა ვრაც ამბავად ლაპარაკს დაწერილობით. ორიოდე სიტყვას ვიტყვით მხოლოდ. მე თუმცა სტანციებში და საზოგადოდ მათ მართებლობაში და მსგებლობაში არ შამინიშნავსა ცუდი რამე, მაგრამ პოროტი ენებისაგან არის დაყრილი ქორი, რომ მათში ჯერეთ დიდი უწყობა სუფეცია... წასართლს წელში «პეტერბურის უწყებებში» სწერდა ერთი ჩვენებური კორკეპონდენტი, რომ ზაფხულობით სტანციებში წყალი ვერ იშვებოდა საკმაოდ ამაოკომოტივებისათვის; საზოგადოდ ის ამბობდა, რომ სტანციები ცუდ ადგილებს არის აშენებულიო. მაშინ ეს ყელს ტყუილი ვგონა, მაგრამ დღეს მართლა ცხადად ასრულდა ეს ამბავი; როგორც ამბობენ, ზოგიერთ სტანციებში თითო ლოკომოტივის მეტისათვის ვერა შოულობენ წყალსაო. ამით ვგონებ, არაფერ უნდა შეშინდე: ქები თუ დაშრება, ყვირილა და რიონი ხომ აღარ დაშრებიან! იმოდენა აუარებელი სიმძიმე თუ მიაქვს შამინას, თავის სამყოფ წყალს როგორ ვერ წაიღებ? ქების კეთებაში, მართლად უნდა ვსტევა სიმართლე, სწორეთ ძლიერ შესტენენ: ყვირილის სტანციის სიახლოვეს დადგენ ერთ ადგილს და დაუწყეს ჭას თხრა. ორ არშინს ქვემოთ კლდე გამოჩნდა; მოდგენ და დაუწყეს კლდეს შტრევა. რამოდენი ხარჯი წავიდა, რამოდენი საყენი მიწა ამოთხარეს, მაგრამ წყლის რა მოგახსენო: ზვიდამ თუ ჩაუშვებენ, კარგათ ჩავა და ქვემოდა ამოსვლას კი არ აპირებს... მეტი საშუალება ვერა გამოიგონესრა, ერთი დეფე მოუშვეს შორიდან და მით ავსებენ ხოლმე ამ ჭას.

უმეტესად საჭირო და სასარგებლო იქნება ჩვენი ხალხის განათლებაზე ლაპარაკი და მეც ახლა ამის ამბავს მოგიყვებით წასართლს წელში «დროებაშიცა» იყო მოყვანილი, რომ ყრილობა იყო ყველა უეზლის ნაჩლინებთა ქალაქს ქუთაისში. ამ ყრილობაში დაესწრნ ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი და სახალხო სკოლების ინსპექტორიც. ქუთაისის სა...

ხედრო ვუბერნატორისთვის დაწერილნი იქნა ამ ყრილობას სხვათა შორის შარშან მსჯელობა სახალხო სკოლების გამართვაზე სოფლებში. ყრილობას ერთ ხმად გარდაეწყვიტა, რომ ყოველს საზოგადოებაში უნდა ყოფილიყო სკოლები. მწერლობის თანამდებობა უნდა მინიჭებოდათ ისეთ პირებს, რომელთაც უნდა შეეძლებოდათ მასწავლებლობის აღსრულება. ეს მართლა ადვილი მოსახერხებელი იყო, რადგან საზოგადოების რიცხვი ძლიერ შემოკლეს: პირველად, სოფლის სასამართლოების დაწესების დროს, შორანის უეზლში ირიცხებოდა სამოცდაექვსი საზოგადოება და ესლა ირიცხება სულ ოცდა რვა საზოგადოება. მწერლობისა და თან მასწავლებლის განწესება სოფლის კანცელარიებში და სკოლებში ამ ყრილობაში მიანდო უეზლის ნაჩლინებებსა და სახალხო სკოლების ინსპექტორს *).

ბოლოს ვალად დაუდგეს მამასახლისებს, კანცელარიებისა, სკოლებისა და პურის მალაზიების ვაკეთება სოფლებში, პლანისა მებრ. ამ შენობების პლანები უეზლის ნაჩლინიკა ყველა მამასახლისებს დაურიგა, რომელშიდაც გარდახდებინეს მათ სამსამი მანეთი ფული. ამასთან, ძალით თუ ნებით, საზოგადოებას უნდა დაენიშნა მწერლებისათვის, მწერლობის აღსრულებისათვის, ას ოთხმოცა მანეთი და როგორც მასწავლებლისათვის—თორმეტი თუმანი. ამგვართ, ორივე თანამდებობის გამგირი შეადგენდა სამას მანეთს; ამას გარდა იმათ ექნებოდათ სოფლისაგან სადგომი და შეშა. ეს მგონი, ცოტა არ არის. ამისთანა განკარგულების მოხდენამ, რასაკვირველია დიდათ გაახარა ყველა ის პირები, რომელნიც ხალხის განათლების საქმეს თანაუგრძნობენ. მაგრამ, საუბედუროთ, იმათ სიხარულსა და იმედს დიდხანს არ გაუწყვიტა...

აბა ესლა გადისჯოთ—როგორ ასრულდა ეს კეთილი ჰაზრი და მშვენიერი პლანები? სხვა უეზლის რამოგახსენო, არ ვიცი, მაგრამ შორანის უეზლს რაიცა შეეხება, ამისი კი კარგად ვიცი. მიწერ-მოწერაში მართალია ასე გახლავთ ეს ამბავი დარჩენილი, როგორც სხვებიც ამისთანა—შემდეგი ჩამომავლობისათვის; მაგრამ საქმით კი ჯერ ვერსად ვხედავ აღსრულებულიყოს რამე. პირველად მე იმას ვფიქრობდი—სად იშოვიან ამდენ მწერლებს, რომელთაც მასწავლებლობის თანამდებობის აღსრულება შეეძლოს, მეთქი? მაგრამ იმოდენი მსურველები აღმოჩნდნენ, რომ უადგილოთა ბევრნი დარჩნენ! გაიგეს თუ არა, მოაშურეს სოფლისკენ გამორიცხულთა შაგირდებთა გიმნაზიიდან და სასულიერო სასწავ...

* ეს წესი წინათ იყო და ესეა ვი, როგორც ამბობენ, ადამ ანის. უეზლის ნაჩლინიკის შიქცათ ნება მამასახლისებისათვის, ვინც ნუკახო, იმას დაიქუბენ მწერლებ და როგორც მოჭრიდებიან, ესეც მათ ნუახედ ანის დამოკავებული ეს სხედ ცუდია. ავტ.

საქართველო

იმერეთიდან გვეწერენ, რომ გასულ მაისის განმავლობაში იქაც ძალიან სიცხეები მდგარა და გვალვას ნამუშევარი და განსაკუთრებით ხეხილი ძალიან გაუფუჭებია, ასე რომ ამ წელს არც იმერეთში მოყლიან კარგ მოსავალსა.

«მოსკოვის უწყებები» გვაცნობებს, რომ მინისტრების კომიტეტი გლადიკავკასიიდან როსტოვამდე რკინის გზის კონცესიას ინჯენერს ფალკენგაგენს უპირებს მიცემასაო, ე. ი. იმას მიანდობენ ამ რკინის გზის ვაკეთებასაო.

ჩვენს ქვეყანაში არის ერთი სასწავლებელი, რომელშიაც არა თუ სრულიად არ ასწავლიან ქართულ ენას, არამედ ამ სასწავლებლის უფროსი ცუდათ უყურებს და ხანდისხან კიდევ სჯის თურმე იმ ქართველ შაგირდებსა, რომელთაც უნახავს ხელში ქართულ გაზეთს, ყურნალს, ან სხვა რომელსამე ქართულ წიგნსა. ეს სასწავლებელი კი ისეთი სასწავლებელია, რომ იქ კურსმწარულებულები, უეჭველად, ხალხში უნდა გაიფანტონ და მომეტებულ ნაწილათ ქართველ უბრალო ხალხთან ექნებათ საქმე...

ჩვენ შევიტყუეთ, რომ ქართველი მთარგმნელი ქალების შრომა იბეჭდება და ამ თვეში გამოვაო. ამ პირველ წიგნში შემდეგი სტატიები და მოთხრობები იქნება: «პ არ ი ქ ე ლ ი ბ ი კ ი» (ექტორ ჰიუგოს «საბრალონიდან»), «მეთვრამეტე საუკუნის სამე...

შიც ამდენი, მოსკოვში ამის ნახევარი, ხარკოვშიც რამოდენიმე; მაშასადამე საკმაო ყოფილა, ჩემის აზრით, რომ თვეში ერთი კორრესპონდენცია გამოვირიოს მაინც. ამას, მე არა მგონია, დიდი დრო მოუწდეს; ერთი საათი დღეში ყოველთვის შეიძლება გარდადგას კაცმა თავის სამშობლო და ღვიძლი ენის სასარგებლოთ. ამბობენ: ქართველები ზანტები ვართო. ჩვენდა სამწუხაროთ, ყველგან მტკიცდება ეს აზრი ჩვენს თავდაზნაურის შეილებზე. ნუ თუ ისე მტკიცეთ დაფუძნდა ეს სიზანტე ჩვენ სისხლში, რომ ძველსა და ახალს არ შეგვეძლოს ამისაგან განთავისუფლება? ვგონებ, რომ ჩვენი სამშობლო არ შეგვეძლოდეს გულწრფელათ თავის შეილებს, რომელნიც ვიფიწყებთ იმას... ჩვენ ვისურვებთ, რომ ეს სიჩუბე მოსპობილიყოს და, თუ ცხელ-ცხელი არ იქნება, ცეცხლი ამბით მაინც გაცხობებულთიყოს ჩვენი ლიტერატურა...


დღეს წავიკითხე «ს. პეტერბურლის უწყებებში», რომ გაუთავებიათ შახნახ ა-

რ ვ ი ს ს ა ქ მ ე და სულს გარდაუწყვეტია მისთვის ღირსების ჩამოხდა და ციმბირში გაგზავნა. ეს საქმე მდგომარეობდა იმაში, რომ ეს შახნახაროვი ყოფილა გვარად ბაბაევი და მამა მისი ნაცხოვრება ქ. შუმას. მამის სიკვდილის შემდეგ ის ჩამოსულა თვითისში და აქ მიუღია მართლ-მადიდებლის სარწმუნოება. შემდეგ რამოდენიმე ხნისა იმას მიუტოვებია ქალაქი და, როგორც ვტყობა, მას აქეთ თავისი დღე სიეშმაკეში გაუტარებია. პირველათ იმას გამოუტყვლია გვარი ბაბაევისა და დაურქმევია თავ. ა კ ო ფ ო ვ ი. ამ გვართ ნაცხოვრება დიდხანს პეტერბურლში; აქ მოუწოდებია მდიდარი ქალის შერთვა; მიგრამ როგორცა ვერ მოუხერხებია. შემდეგ ამ ჩვენ კნიაზ აკოფოვს გამოუტყვლია გვარი კნიაზ შახ-პურიან-შახნახაროვ გოქჩაისკით, და წასულა მოსკოვში და იქ გაუცნია ლამაზი ქალი, კარგი დედამისი შეილი და კარგი მზითვიანიც. აქ ბევრი აყალ-მაყალი არ გაუწვია და უთხრენია დედამისთვის ქალი. ქალის დედამა თანახმა გამხდარა იმ პირობით, რომ ის შესულიყო სადმე სამსა-

ხურში, უამისოთ ჯვარის დაწერს ნებას არ აძლევდნენ. შახნახაროვი ჩამობანებულა პეტერბურლში, შაუკერინებია ქართული ტანისამოსი, გამოპრანჭულა სირმა-ვერცხლში და გაუკეთებინებია ტყუილი მოწმობები, ჩასულა მოსკოვში და უთქვამს, რომ შევედი ხელმწიფის კანეოშიო. ქალის დედამა თანახმა გამხდარა და შახნახაროვს ჯვარი დაუწერია. იმ წელიწადშივე ის გაუქმავს პოლიციას და ჩამოუბრძანებია პეტერბურლში, რადგანაც შახნახაროვის გვარი არც კი ყოფილა ნახსენები კანეოლების ყურნალში. ასე რომ დიდხანს არ რგებია ჩვენ შახ-პურიანს თავის მეუღლესთან შახ-პურიანობა. დიდხანს დარჩენილა ის შემდეგ პეტერბურლში, აქაც ბევრი უეშმაქნია და უცოდვილბობა; ამასობაში შახ-პურიანის მეუღლეც გარდაცვალებულა და მერე ეს ჩვენი შახ-პურიანი აქ პეტერბურლში ერთ ახალგაზდა გოგოს შემახპურიანებია დროებით. რასაკვირველია, კარგ ხანს ამ ახალ კეკლუტთან უცხოვრნია და შემდეგ გაუკრავს ხელი და წასულა ერთს პეტერბურლის მოშორებულ

გუბერნიასში. იქ ერთ კარგ ნასწავლ და გაზდილ ქალიშვილს გაცნობია; იმ წამსვე გალუქიანეს ბექები, გარდუკრახნია ულვაში, ჩაუხველებია ერთი-ორი და გამოუცხადებია სიყვარული. რაღა ბევრი გავაგრძელო: ეს კეკლუციც გაუშხ პურიანებია, აუკრავს გვარიანი ფული მზათკით და წასულა თავის საყვარლით კოსტანტინოპოლში; იქიდან აპირებდა თურმე ამერიკაში წასვლას; მაგრამ, მისდა საუბედუროთ, რუსის ელჩის შეუწინააღმდეგეობა და ჩამოუბრძანებია პეტერბურლში. კარგა ხანია რაც პეტერბურლში ეს საქმე გრძელდებოდა; ბევრი სხვა რამეებიც გამოჩნდა მისი ჩანადენი და ახლა ეს ირის გათავის კნიაზ აკოფოვ შახ-პურიან-შახნახაროვ-გოქჩაიელი-ბაბაევის საქმე. სასაცილო ის არის, რომ, როდესაც აქაური ქალები ქართულათ ჩაბმულ კაცს ნახავენ, შახ-პურიანი მოდისო, იძახიან....

გ. ჭვადციფლი. 16 მაისი.



ლებლიდამ, ვგრეთვე გამოარიცხულთა რუსის მწერლებთა სხვა და სხვა სასამართლოდამ და გამომდგარ სალდათებმა და უნტერ-აფიცურებმა!...

ერთი ჰკითხეთ, თუ ღმერთი გწამსთ, სად მიდიან? ჯერ არც შკოლები და არც კანცელარიები არასდ არ არის აშენებული; ზოგან საწყალ გლეხებს ჯერ კიდევ იმაზედა აქეთ დიდი დაეი-დარაბა—თუ სად დადგან სოფლის კანცელარია და შკოლა, და ეს პატივცემული მასწავლებლები კი დიდი ხანია მზათ არიან და ჯამაგირსაც კარგს იღებენ...

ამ უშველებელ უეზღში ორს ადგოლას არის გახსნილი სოფლის საზოგადოებისაგან შკოლა: ერთი არის კ ი ც ხ ის საზოგადოებაში და მეორე შ ო რ ა პ ა ნ შ ი. ორივე სოფელში ძლიერ შეუფერებელი სახლი არის სასწავლებლისათვის გაკეთებული. მასწავლებლად და მწერლად გახლავთ პირველში რუსთაგანი, რომელმანც ქართული ენა იმოდენად იცის, რომოდენად მე და შენ, ჩემო მკითხველო, ჩინეთური ენა ვიცით. აბა მკითხეთ თქვენ, როგორ ასწავლის ქართველ ბავშვებს რუსიო, რომელმანც ქართული სრულებით არ იცისო? თქვენ რომ გგონიათ, ისე არ უძნელდება ამას სწავლება: ამას ჰყავს ერთი ვიღაცა მეორე კლასიდან გამოარიცხული «მაგირდი» მთარგმნელად; მთავრად და რასაც ბრძანებს და იტყვის, ეს გადაუთარგმნის მაგირდებსა. თვითონ მე ამ მასწავლებელმა მითხრა, რომ ღმინასტიკური მოძრაობა უმჯობესია დაეწყებინოთ თაჭდა პირველათა, რომ ბავშვები არ დასწყულდესო და მეც ამიტომ ამას მივყავი პირველად ხელიო. მართლა, დიდათ საჭიროა ღმინასტიკური მოძრაობა იმ ბავშვებისათვის, რომელნიც თითქმის დილიდამ საღამომდინ თოხით მუშაობენ!... ეს არაფერია კიდევ. ამ პატიოსან მასწავლებელს დაუქირავებია ენლა ერთი ვიღაცა, ვგონებ პრიეტნიკი, და ის ასწავლის სულ ქართულსაც და რუსულსაც ბავშვებს და თვითონ ცხენით დაბრძანდება აქეთ-იქით. საზოგადოება იმოდენათ კარგი გლეხებისაგან შესდგება, რომ ოცდაათ თუმანს გარდა ღვინოც უჩუქებიათ ას ჩაფადმდე. სოფლის საზოგადოება ემდურის ამ მასწავლებელს, რომ ბავშვებს უსწავლელად გვიტოვებს შკოლაში, არ ცდილობს, როგორც რიგიაო და ღვინოს ნამეტნავად სვამსო! ამისდა სამაგიეროთ, ის როგორც ვაგივე, ეუბნება უ. ნაჩალნიკს, რომ გლეხები შეიღებენ მთხვევრ უკანეეო, არ გვინდა ჩვენ სწავლაო, მაგრამ მე მაინც ძალით მინდა გავანათლო მათი ბავშვებიო და ამისათვის გლეხები მემდურთან... გასაკვირველია, გლეხების საქმე ამ შემთხვევაში: დინო არუქეს და ბერის ნუ დაღვეო! როგორც სჩანს, გლეხები ტყვილა ემდურებიან ამ მწერალ-მასწავლებელს!...

ამას წინეთ ამ შკოლაში მისულიყო სახალხო შკოლის ინსპექტორი და ზოგიერთი მაგირდების სწავლავლად კმაყოფილი დაჩინილიყო. მაგრამ ეს თუ მართალია, მაღლობა ამ მასწავლებელს კი არ ეკუთვნის; ამისათვის რომ ეს ცოტადნად მცოდნე მაგირდები ორორი წელიწადი იყვნენ სხვა შკოლებში და იქ ასწავლეს. სახალხო შკოლების ინსპექტორმა რომოდენიმე საზოგადოების მწერლებს მოუყარა თავი სოფ. კიხის საზოგადოების შკოლაში და აჩვენებდა პრაქტიკულად—თუ როგორ უნდა ესწავლებიან მაგირდებისათვის შკოლებში. მაგრამ შკოლები სად არის?

ესლა ვიტყვით რომოდენსამე სიტყვას შორანის საზოგადოების შკოლაზედ. ეს შკოლა არის საზოგადოებისაგან გახსნილი. შორანის საზოგადოებაში შკოლისათვის შესაფერი სახლი წინეთ არ იყო, მაგრამ ესლა

კარგი სახლი უყიდათ. აქ არის მასწავლებლად ერთი მღვდლის შვილი, რომელსაც ოთხი კლასი სასულიერო სასწავლებლისა აქვს შესრულებული. ეს მწერალი და მასწავლებელი, რომოდენათაც ვიცნობ. კარგი ზნეობის არის და მაგირდებსაც კარგათ ასწავლის. მას ოცდაათი მაგირდი ჰყავს შკოლაში და სრულიდაც სწავლებითა ძველებურად არ ასწავლის. სახალხო შკოლების ინსპექტორმა დაიარა ეს უეზღი და ბოლოს, როგორც ვაგიველი მაქვს, მოახსენა გუბერნატორს, რიგია გამოეცხადოს მაღლობა მამასხლისებს კიხის, შორანის და ხარაგაულის საზოგადოებათა, რადგან მათ უზრუნველ შკოლების გახსნიანათვისო. ეს მოახსენეს, რასაკვირველია, სხვა მამასხლისების წასაქმებელად. ორმა სტარშინამ, მართალია, ვთქვით, გახსნეს შკოლები და შეკრიბეს მაგირდები, მაგრამ ხარაგაულის სტარშინას კი რაზენ მოუვიდა მაღლობა, როდესაც იქსრულებით შკოლა არ არის? თუ ამ მამასხლისს მიბაძა სხვა მამასხლისებმაც და სრულებით შკოლის კეთება აღარ ეძებეს, იქმნება ჩვენც მაღლობა მივიღოთო, შენი მტერია, როგორც შკოლები აქ გაიმართოს!...

იმედი მაქვს, მეორე დროს მოველაპარაკო «დროების» მკითხველებს ოჯახებში დაყენებულ მასწავლებლებზე, რომელნიც ამ ჩვენს უეზღში უკანასკნელ დროს ძლიერ გამოაფლდნენ.

შორანელი.

კუთხისი, მისის 26-ს.

ყოველ წელიწადს, როდესაც ახალციხის უეზღში კარგი მოსავლია ხოლმე, ეს მოსავალი დიდ საშუალობას აძლევს ჩვენ ქუთაისს, რადგანაც ახალციხიდან ქუთაისს მოაქვთ ვასასყდლათ პური, ქერი, კარტოფილი, ლახანა, კომბოსტო, ყველი, ერბო და სხვა და სხვა ხილი. წინააღმდეგ ამისა, როცა ახალციხის უეზღში კარგი მოსავალი არ იქნება, მაშინ ძალიან სიძვირე ჩამოვარდება ხოლმე ქუთაისში ხორაგისა. ყველა ესენი ახალციხიდან ჩვენში მოაქვთ ჩაღვადრებს ცხენებით, აბასტუმნის მითით რომ გზა ჩამოდის ქუთაისში, იმ გზითა, რადგანაც ეს გზა ძალიან ახლოა გზა არის. მაგრამ ხანდისხან ამ მთავედ ხედებიან ვაჭრებს ავაზაკები აჭარლებთაგანი. წარსული თვის აპრილის 29 დახვედროდნენ ათი აჭარელი ავაზაკი ერთს ახალციხელს ვაჭარს, რომელსაც აქვს ვაჭრობა ქუთაისში. ის ყოფილიყო სააღდგომოთ ახალციხეს და მოდიოდა ქუთაისს ერთი ჩაღვადრით. იფიქრეთ, ათი კაცის დახვედრა და ვაჭრის გული—რა იქნება! აჭარლებს ეთქვათ, ფული მოგვეციო. ამოეღო ქისა და მიეცა. ვაჭარს ჰქონოდა მხოლოდ შვიდი აბაზის თეთრი ფული. თვითონ ავაზაკებს დახვედნათ, მაგრამ მეტი ვერ ენახათ. შემდეგ წაერთმიათ საგზალი რაც ჰქონოდა, ერთი ოქროს ბეჭელი და ერთიც ოქროს საათი ოქროს ჯაჭვით ეთხოვნა იმ ვაჭარს. ბეჭელი სხვის სამახსოვროთ მაქვს და ნუ წამართმევთო. ავაზაკებს იმწამსეე უკან მიეცათ. ვგრეთვე საგზალი გაეცოთ შუაზედ და ისიც მიეცათ. საათისა ეკითხათ, როგორაღირსო? ვაჭარს ეთქვა, ათ მანეთს მოგცემთ და მომეციოთ. ამათ განარებოდათ, უთუოთ კიდევ აქვს სადმე ფულიო. აბა მოგვეცი ათი მანეთიო. მაგრამ ვაჭარმა უთხრა იმათ თურმე, რომ ქუთაისიდან გამოგვავანით, აქ არა მაქვსო. ერთის სიტყვით, ვაჭარმა ამ ავაზაკების სულგრძელობა ნახა და ოქროს საათი ნისიათ დაუწყო თხოვნა. იფიქრეთ, ავაზაკები და ნისია ვინ გაიგონა? მაგრამ ეგენი ახირებული ავაზაკები ყოფილან, ისე ჰგავს: აუღიათ და ოქროს საათი თავის ჯაჭვით ათ მანეთში და ისიც ნისიათ მიუციათ

ერთ ათ მანეთში და ისიც ნისიათ მიუციათ პატრონისათვის...

მეორე კიდევ უფრო ახირებულ ამბავს გეყვით: «დროების» მკითხველთა იციან, რომ წელს იანვრის პირველიდან დაწესდა, ახალი ფორტის კანონები. გახსნილი წიგნების გზავნა, ამგვარ წიგნებს ჩვენს ქუთაისში ხშირათ სწავრენ სხვა-და-სხვა პირებს ხან სახელის და გვარის მოწერით, ხან უსახელოთ და ხან სხვის სახელის და გვარის მოწერით. მისის 21-ს ერთმა ჩემმა ნაცნობმა წამიკითხა ერთი გახსნილი წიგნი, რომელზედაც ეწერა ჯერ მიმწერის სიკაცაცე და ძირს მოეწერა ჩემი სახელი და გვარი. ვითამც მე მიმეწეროს ეს წიგნი. ჩემი ნაცნობი თავიდავე დარწმუნებული იყო, რომ ეს წიგნი ჩემი დაწერილი არ იყო, და მკითხა: იქნება გამოიცნო, ვისი ხელია და ვის დაუწერია ამისთანა ხეპრული წიგნიო? მაგრამ მე სრულებით ნაწერი ვერ ვიცანი, რადგანაც არეული იყო ასოები.

მოკლილი კაცისათვის თავის შესაქცევად ავგარი საქმეების ჩადნა, რასაკვირველია, კარგი რამ არის. აქ მე ერთი ანდაზა მაგონდება: ძალსა ჰკითხეს: რისთვის ჰყვავთ? მან უპასუხა: ვაშინფო! კვალად ჰკითხეს: მეორეს პირით რიდასთვის ჰყვავთ? იმან უპასუხა: მეშინიანო! უფალო ჩემი სახელის და გვარის მომწერლო, თუ აშინებთ და წიგნსა სწერთ და დარბეხასაც აძლევთ თქვენს კვირთ, იმ გახსნილის წიგნით, მაშ თქვენ გვარს რათ არ აწერთ? თუ გეშინიანთ, რატომ უსახელოთ წიგნს არ უგზავნით? მტყობა, რომ მასაც აშინებთ და თქვენც უფრო გეშინიანთ იმ პირუტყვსავეთ, და ჩემს სახელსა იმისათვის აწერთ. გარწმუნებთ, რომ ორივე შემთხვევაში თქვენ შემცდარი და შერცხვენილი რჩებით...

ეს პირველი შემთხვევა არ არის, უფ. რედაქტორო, რომ ჩვენს ქალაქში ამგვართ «ხუმრობენ» და ამიტომ საჭიროთ დავინახე, ამისთანა უმგებანო ხუმრობის გამოაშკარება.

გ. ბარამაგა.

რუსეთი

თითქმის ყოველ წელიწადს, ზაფხულობით, რუსეთის გუბერნიის ქალაქებში ჰკითხულობენ ხოლმე ლექციებს სასოფლო შკოლების მასწავლებლებებისათვის. სახალხო შკოლების ინსპექტორი წინათვე აცხადებს, რომ წელს ამა და ამ ალაგს იქნება ლექციები და ყველა მასწავლებლებმა თავი იქ უნდა მოიყარონო. ამ ლექციებს, უტყველია, ხალხის განათლების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ინსპექტორი ან სხვა გამოცდილი პედაგოგი უხსნის სასოფლო შკოლების მასწავლებლებს—როგორ უნდა ასწავლონ და როგორ უნდა მოექცნენ ისინი თავიანთი შკოლების მაგირდებსა იმისთვის, რომ სწავლაში წახალისონ ისინი. სხვა-თაშორის ამისთანა სასოფლო მასწავლებლებს კვება და ლექციების კითხვა წელს პეტერბურღშიაც იქნება, სადაც ამ კანიკულებს უნდა შეიკრიბონ ყველა პეტერბურღის სასოფლო შკოლების მასწავლებლები—კაცები და ქალები

ერთს პეტერბურღის გეზეთში ყაზანიდამ იწერებინა, რომ ამ ქალაქის საზოგადოებას შეუწირავს 2,000 მანეთი ისეთი სახლის გამამართავად, სადაც ახალგაზდა დამნაშავეები უნდა დააყენონ და გამოზარდონ. მკითხველმა იცის, რომ პეტერბურღში ამ საქმისათვის საზოგადოება არის შემდგარი, რომელმანც ქალაქის ახლოს იყიდა დიდი ადგილები, აშენა ზედ სახლები, შკოლა და ახალგაზდა და

მნაშევეები მიჰყავთ აქ და წერა-კითხვასა და რომელსაღე ხელობას ასწავლიან. ერთი წელიწადი, იმნაირათ ზრდიან და წითფიან, რომ შემდეგში პატიოსანი შრომით შეეძლოს ცხოვრების ღონის ძიების მოპოება.

სახალხო განათლების მინისტრის წარდგენილობით, ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა ზოგიერთ რუსეთის ქალაქებში სამასწავლებლო სემინარიების გახსნა. ამისთანა მასწავლებლების მოსამზადებელი სემინარიები ჯერ-ჯერობით გაიხსნება: ერთი პეტერბურღის გუბერნიაში, ერთი მოსკოვის, ერთი იაროსლავის, ერთი ყაზანის, ერთი ხარკოვისა და ერთიც ოდესის სამასწავლებლო მხარაში.

სკოვის გუბერნიის რამდენსამე სოფელში გლეხებს ხარჯის მოკრეფის დროს გამოუცხადებიათ, რომ ჩვენ საქმარ მიწები არა ვაქქესო და ამიტომ ხარჯის გადახდა არ შეგვიძლიაო. ამის თაობაზე ჯერ ერთს სოფელში მომხდარა არეულობა; როდესაც ხარჯის მოკრეფით მოუწოდებიათ გადასახადში გლეხების პირუტყვის აყვანა და გაყიდვა, გლეხებს წინააღმდეგობა გაუწევიათ და არ მიუციათ. ამ ერთი სოფლის მიხედვით, არც სხვა ახლო-მახლო სოფლებს ნდომებიათ სახელმწიფო ხარჯის გადახდა. ბოლოს მთავრობას ამ სოფლებში 160 სალდათი ეგზეკუცია ჩაუყენებია და ძალათ გადაუხდევინებია გლეხებისათვის სახელმწიფო ხარჯი. ერთს რუსულ გაზეთში სწერენ, რომ ამ არეულობის თაობაზე საქმე შეადგინეს და სამოსამართლო უწყებისაგან გამოძიება არის დანიშნულიო.

რუსეთში შესდგა დიდი ხანია ერთი საზოგადოება, რომლის დანიშნულება ის არის, რომ გამოსცეს სხვა და სხვა სამართო წერილის წიგნები და მდაბალ ხალხში და საზოგადოთ ყველა წოდების საზოგადოებაში გაავრცელოს ისინი, ზოგი იაფ ფასათ და ზოგი მუქთად. მართო შარშანდელი წლის განმავლობაში ამ საზოგადოებას 78,867 სახარება და სხვა სამართო წიგნები გაუვრცელებია და 7,391 მანეთი დაუხარჯავს.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

საფრანგეთის ნაციონალურ კრებაში ამ უკანასკნელ დროს ახალს სახედრო კანონებზე იყო მოლაპარაკება. მკითხველმა იცის, რომ იმ კამისისა, რომელიც ამ კანონების დასადგენათ იყო დანიშლი, უნდადა ისეთივე სამხედრო წესი შემოეღო საფრანგეთში, როგორიც პრუსიაშია, ე. ი. რომ ყოველი ფრანკუზი ვალდებული ყოფილიყო რამდენიმე წელიწადი ემსახურნა სამხედრო უწყებაში. პირველათ ტყერი ძალიან ეწინააღმდეგებოდა ამ გვარ წესს, მაგრამ ბოლოს ისიც დათანხმდა კამისის აზრზე. ახლა, ამ მისის დამლევს ნაციონალურ კრებაში ყოფილა ამაზე სჯა და ჯერ ჯერობით ახალი კანონის პროექტიდამ პირველი ხუთი მუხლი დაუმტკიცებიათ. ამ ხუთ მუხლში მოხსენებულია, რომ ყოველი ფრანკუზი, რა წოდებისაც უნდა იყოს, ვალდებულია დანიშნულ დროს იმსახუროს სამხედრო სამსახურში; არვის არ შეუძლია, რომ სამხედრო სამსახურიდან ან ფულითა, ან თავის მაგიერათ სხვის დაყენებით თავი გამოისყიდოს; სამსახურში მყოფ სალდათს არა აქვს უფლება, რომ კენჭის ყრაში, ან სხვა სამოქალაქო საქმეებში მონაწილეობა მიიღოს.



თითქმის ყველა რესპუბლიკური გაზეთები დიდის თანაგრძობით უყურებენ ამ ახალს სამხედრო კანონს; ერთი გაზეთი აი სხვათა შორის რას ამბობს ამის თაობაზე:

«დროა დაჯდომის საფრანგეთის იმ მონაწილეები წესი, რომლის ძალითაც ესრედ წოდებული კეთილშობილები და შექმნილები განთავსდნენ უფლები იყენენ სამშობლოს სამსახურისაგან. ყოველი მოქალაქე, ვისაც კი თოფის სმარება შეუძლია, გადგებული უნდა იყოს დაჭირების დროს დაქმნას სამშობლოს; განთავსდნენ და შექმნილები ამ საქმეშია წინ უნდა იდგნენ და გზა და მოვალეობა უზრუნველ იმათ, რომელთაც არა ესმისთ რა.»

— ნაპოლეონმა გამოსცა ამას წინეთ მანფესტო, რომელშიაც აცხადებდა, რომ უკანასკნელი ომიანობისათვის მეზობლოთ მთელი ხალხის, და არა ახლანდელ ნაციონალური კრების, წინ ვაგებ პასუხსა. ეს მანფესტი ნაპოლეონს ყველა იმ დენერლებისთვის გაუგზავნია, რომელნიც სედანთან ბრძოლის დროს იყვნენ საფრანგეთის ჯარში. მაგრამ ამ დენერლებს, პასუხის გაცემისა და თანაგრძობის შეთვლის მაგიერათ, ეს მანფესტი აუღიან და ახლანდელი სამხედრო მინისტრისთვის გაუგზავნიათ. საზოგადოთ ამბობენ, რომ ნაპოლეონს წინეთ ყოველთვის ჯარისა და სოფლის ხალხის იმედი ჰქონდა, მაგრამ ესლა ამათაც იცნესო და არასოდეს არ მოინდომებენ, რომ ხელ-მეორეთ ჩაუგდონ იმას თავის სამშობლოს ბედი ხელშია.

— საფრანგეთის მმართველობა ჰკრება ცნობებს იმ ფრანკულზე, რომელნიც ომიანობის დროს ტყვეებათ იყვნენ გერმანიაში წაყვანილნი. უმეტესი ნაწილი ამათგანი უკანვე დაბრუნეს, ზოგი ახლაც დაჭერილნი არიან ურჩობისთვის და 20,000 კაცი კი მოამკვლარა.

ესპანია

ესპანიის მმართველობის გაზეთებში დიდი ხანია სწერენ, რომ კარლისტების არეულობა დაეამყარებოდა და თითონ აჯანყებულები დაემორჩილებოდა; მაგრამ სხვა წყაროებიდან კი ამის წინააღმდეგ ამბებს ეტყობილობთ. ერთს ფრანკულს გაზეთში სხვათა შორის იწერებან, რომ მართალია, ბისკაიაში თითქმის აღარ არიან კარლისტები, მაგრამ ნავარაში და ზოგიერთ სხვა ჩრდილოეთის პროვინციებში კიდევ გუნდ-გუნდათ დაიარებიან ისინი და დამორჩილებას სრულიად არ ჰქეპრობენო. ნავარაში ამჟამათ 1000 კაცზე მეტია თურმე ჯერ კიდევ დაუმორჩილებელი და ისინი ისეთ ალაგებში იმალებიან, რომ იმათი ხელში ჩაგდება ადვილი საქმე არ არისო.

თვითონ დონ-კარლოსზე ამბობენ, რომ ის ახლა საფრანგეთისა და ესპანიის სამხედრო არისო და იქიდან მალე ესპანიის შუა პროვინციებში თავის ამოწყობას და რევოლუციის განახლებას აპირებსო.

თუმცა ესპანიაში არეულობა, როგორც ვხედავთ, ჯერ არ გათავებულა, მაგრამ ცხადი კია, რომ ამ არეულობით კარლისტები საქმეს ვერ მოიგებენ და ვერ შეასრულებენ თავიანთ წადილს, ვერ დასცემენ ესპანიის ტანტზე კონსერვატორებისა და იესუიტების მწყალობელს დონ-კარლოსსა.

გუბერნატორის ვეგლის ქაზნისა

გაზ. «კავკასი» მე 60 № ში, სხვათა შორის, დაბეჭდილია ანგარიში შემოსავლისა, რომელსაც იღებს ბარონ კუჩინაზი თავის ქაზნიდან წლის თავზე. ბარონი კუჩინაზი არის შთამომავლობით შვეიცარიელი ნემეცი,

რომელმაც ათი-თერთმეტი წელიწადია, რაც ფეხი შემოსდა ჩვენს საქართველოში იმ აზრით, რომ უმეტესებით და მოუხერხებელი ადამიანების ხელში ჩაეარდნელი ბუნების სიუხვით ესარგებლნა რამე. ამისთვის იმან ამოირჩია ყველის კეთება ევროპულად, რადგანაც იცოდა, რომ ამით უფრო მალე მიღწევდა თავის მიზანს. იმან იჯარით აიღო ცოცხალი ადგილი, სახელათ მამულოთ, თრიალეთის მაზრაში, თფილისის გუბერნიაში, და 1863 წელს დაიწყო ყველის ქარხანის შენება. უფ. კუჩინაზს, რასაკვირველია, საკუთარი ფული იმდენი არა ჰქონია, რომ ხეირიანი რამე გაეკეთებინა; მაგრამ ჩვენმა მეურნეობის საზოგადოებამ ძრიელ დაეხმარა ამ საქმეში და კარგა ძალი ფულიც მისცა; ამავე საზოგადოებამ შეეცარიული ძროხები გამოუწერა იმ პირობით, რომ მოემენებინა ჩვენში სამზღვარ გარეთელი ძროხის ჯიში და მყველელებათ შაგირდები გამოეზარდა; მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, არცერთი ესენი იმას არ შეუსრულებია.

როგორც «კავკასი» ნომერში ამოწერილი ანგარიშიდან სჩანს, ბ. კუჩინაზს ჰყოლია ესლა 180 მწველი ფური. ამ ფურების რიდიდან გამოჰყავს იმას შვეიცარიისა და ლიმბურგის ყველი 570 ფუთი, კარაქი მოხლილი ყველი — 240 ფუთი, კარაქი — 120 ფუთი.

«კავკასი» სიტყვითვე, შვეიცარიის და ლიმბურგის ყველი იყიდება 13 მანეთად ფუთი, კარაქი მოხლილი ყველი — 2 მან., კარაქი ფუთი — 18 მან. მაშასადამე წლის შემოსავალი — 180 ასი ფურისა არის — 6,760 მან.

ამ ციფრებმა, თუმცა ძრიელ ნაკლებათ არიან ნაჩვენები (*), მაგრამ მაინც უნდა დააჩუქუნოს ადამიანი, რომ ამ ცხრა წლის განმავლობაში უ. კუჩინაზი კარგა ბლოკათ ფულს დააგროვებდა. ჩვენი შემამულები, რომელთაც ბევრი საძოვარი ადგილები აქვსთ და საქონელიც ბლოკათა ჰყავთ, უნდა ჩაგონანს ამ გარემოებამ, რომ უცხოთ მოსულმა ადამიანმა, უადგილ-მამულომ, უფულომ, ჩვენს მამა-პაპულს მიწა-წყალზე კარგი ძალი სიმდიდრე შეიძინა და ჩვენ კი ვგრე ერთი მეორეს შეეყურებთ და ჩვენი ბუნებითი სიმდიდრე მოუხერხებლობით იღუპება...

იმას გარდა, რომ ნემეციების კალონისტები, თფილისში, თუ თფილისის გარემო მცხოვრებნი, დიდ ძალს ფულს იღებენ ქალაქის მცხოვრებლებისაგან თუ კარაქით თუ რძით, თუ სხვა რამეებით, «მოსკოვის უწყებებში» ამოვიკითხე, რომ თერგის მაზრაში ახლად ჩამოსულა ორი ნემეცი, რომელთაც იჯარით აუღიანთ იქაური მცხოვრებლებისაგან ცოცხალი საძოვარი ადგილი და ორმოც და ათი მეწველი ფური და აკეთებენ თურმე ლოლონი-დიურ ყველსა და კარაქს. თავიანთ ნაწარმოებს ყველსა და ცხრბოს ახლამდის ჰყიდდნენ მარტოკა მოზლოკში და ვლადიკავკაზში და

(* ჩვენ ამ ანგარიშის სინამდვილეს სრულიად არ ვეთანხმებით, რადგანაც ჩვენ თითონ გვიყვინა გუბერნატორის მადანაში იმისივე შვეიცარიული ვეგლი გირვანჯა ათ შაურათ, ე. ი. ფუთი ოც მანეთათ და არა ცამეტ მანეთათ, როგორც «კავკასი» ში» გამოცხადებული; კარაქი მოხლილი ვეგლი გირვანჯა — ექვს შაურათ, ე. ი. ფუთი თორმეტ მანეთათ და არა ორ მანეთათ, და კარაქი ათ შაურათ, ე. ი. ფუთი — ოც მანეთათ. მაშასადამე, იმ ანგარიშით, როგორც ჰყვინის ქალაქში ვეგლსა და კარბოს ბ. გუბერნატორს, მას უნდა ჰქონდეს შემოსავალი წელიწადში 16,680 მანეთი და არა 6,760 მანეთი, როგორც «კავკასი» ამბობს.

ესლა აპირებენ თურმე აქ, თფილისშიაც, გამართონ მალაზია და ივაკორან. ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ ისინი ისე ცარიელები ჩამოვადდნენ, როგორც კუჩინაზი, მაგრამ იმაშიდაც დარწმუნებული ვართ, რომ ისრე მალე მოიღმენ სულს, როგორც ამ უკანასკნელმა.

ჩვენ ისიც ვაგიგეთ, რომ ქუთაისის ახლო ორს მძას მიზანდაროებს ცოცხალი საძოვარი ადგილი და ოცდა ათამდის მეწველი ფურები უყიდნიან. როგორც ვეთხერს, ჯერ-ჯერობით ძრიელ კარგათ მიღის თურმე ამათი საქმე; ისინი რძეს ჰყიდნან ქუთაისში და ცოცხალი კარაქსაც. ჩვენ დიდათ მოხარული ვიქნებოდით, რომ უ. უ. მიზანდაროები გეაცნობდნენ ხოლმე მათი ფერმის გარემოებას და იმის წარმატების მიზეზს, რომ ამითი დამეტკიცებიათ ნამდვილი სარგებლობა ფურის რძისაგან.

ან გარემოების შემდეგ თითქო უნებლიეთ მიღდა წარმოვსტქვა, რომ ჩვენი ქართველების ხასიათი ისეთია, რომ ლუკმა-პურს პირიდან სტაცებდნენ ვინმე, მგონი ხელი არ გაიღოს და გულ-გრილათ შეჰყუროს. ამ გულ-გრილობას და დღუდღენლობას თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მით უმეტეს გვიმტკიცებს ის გარემოება, რომ ჩვენ გულითადი მსურველი და მოცადინე ვიყავით ხელი მოგვეწყო იმ პირუტყვის მოვლაზე და ამითი ცოცხალი მაინც ვაგვეადვილებინა სახსარი ჩვენი შემამულებების შემოსავლისა, რომ ვილაც ვადმოსული სხვა მიწის შეიღის მაგიერათ ჩვენი მიწა-წყლით ჩვენვე გვესარგებლნა. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი ცდა და ჩაგონება სრულიად ფუტკად რჩება ჯერ-ჯერობით; სხვა ქვეყნიდან ვადმოსულების რიცხვი კი თან და თან მრავლდება. იმათ გამრავლებას და ჩვენი ადგილ-მამულის მათგან დაქერას, მით უფრო უნდა მოველოდეთ, რომ საცაა რკინის გზები გვიკეთდება და ჩვენ ჯერ საფუძვლიანათ არცკი ვფიქრობთ, რომ გამოვიწვიოთ ჩვენი ადგილ მამულის მწარმოებლობა, რომ დაეამზადოთ რამე რკინის გზის წასადებ წამოსადებად. ჩვენ მხოლოდ თავის შესაქცევად ცივის სიტყვებით ვასაზროლებთ ჩვენს თავს კეთილ-მომავლის დახატულებით რკინის გზის შემწეობით. ვაი თუ ისე მოგვივიდეს, როგორც ყველა მოუცილა, რომელმანც მეტის-მეტის სინაზით და თავ-მოყვარეობით პირიდან ყველი ვაგდლო და მელას ხელში ჩაუგდლო....

ნ. ახვლედიანი.

ნარკე

ერთს ნემეცურს გაზეთში ზეტერბურდიდან იწერებან, რომ წელს ციურისში ბეგრი რუსის ქალები წავიდნენ იქურს უნივერსიტეტში შესასწავლათაო. ამასთანავე ამ გაზეთში სწერენ, რომ, რადგან ციურისის უნივერსიტეტში ჯარ იღებენ ისეთ ქალებს, რომელთაც საშუალ სასწავლებლებში (გომნაზიებში) გურსი არ შეუძლებათ და ატესტატი არა აქვთო, ამის გამო მომეტებულ ნაწილმა რუსის ქალებმა ჯერ რუსეთში დაიჭირეს უკანაქნი და მეტე ისე წავიდნენო. ეს უკანასკნელი ამბავი, როგორც ჩვენმა მეთისველმა იცის, ტყუილია, რადგან, ხალხის გადაწყვეტილების ძალით, ციურისის უნივერსიტეტში შესასწავლად არავითარი ატესტატი და უკანაქნი არც ქალებისა და გაცნისათვის საჭირო არ არის.

ჩვენ გვწერენ ციურისიდან, რომ ამ უამად იქაურ უნივერსიტეტში ო რ მ ო ც და ა თ ი ქ ლ ი იმყოფებაო.

ბიომიგამში (ინგლისში) ჰქონდა წელიწადის რაც გახსნილია ერთი ბიომიგამი, რომელსაც «შექსნივილი ბიომიგამი» ეძახიან. ამ ბიომიგამში ნასავთ ყოველ გვარ წიგნს, რომელშიც კი რამეა ნათქვამი შექსნივილი და იმის განაღებურ თსულებსე. ამგვარი წიგნები ოთხი ათასი თურმე ამჟამად ბიომიგამის ბიომიგამში. ამას გარდა აქ არის ოთხასი სხვა და სხვა გამოცემა თვითონ შექსნივის თსულებსე...

ტუნისის ბუბ (სულეში) გაუგზავნის საფრანგეთის რესპუბლიკის ზრეზინდენტის—ტიერისათვის—ერთი ისეთი ვარსკვლავი, რომელიც ფაშასის უფლებას ახლევს თურმე ყველას, ვისაც კი ეს ორდენი აქვს; სხე რომ ახლა შეიძლება ტიერს «ტიერ-ფაშა» დაუძინათ. ტიერს ცხრამეტე სხვა და სხვა ვარსკვლავი აქვს თურმე... როგორ უნდა ამამბედეს ამ პატარა გაცნამდენა ვარსკვლავები და როგორ უნდა უზნელებდეს იმას თვალს იმათი შუქი....

ადამიანის ბუნებისა და ხასიათის გამომკვიდრებისაგან დიდი ხანია დამტკიცებულია, რომ დასჯა და დასჯის შიში ვერ შეაჩვენებს გაცნ, თუ კი იმას რამე ცუდ-გაცნობის ჩადენა უნდა. მეტყველნი ამბობენ, რომ მიეციან გაცნ უსაყვლოთ ცხოვრების დონის-ძიება და განათლება, და თქვენ ნასავთ, რომ ის აჯასკი და ცუდი საქმეების ჩამდენი არასოდეს არ შეიქნებაო. ამ ჰქმნარიც აზრს თვითონ მმართველობებმა და მათგან უკანასკნელ დროს ჯერჯერობით უურადლება და ამიტომ ახლა, ისე დამანაშავის დასჯას ახა, როგორც იმის ვაჭრისა და ცხოვრების საშუალების მიცემას ჰქეპობენ. სხვათა შორის ჩვენს მმართველობამ დანიშნა ამას წინათ ცალკე გამისია, რომელსაც მინდო გამოეკვლიათ—რა მდგომარეობაში არიან სახეობილები დაჭერილნი ტუნისები და თვითონ სახეობილებების გაცნებისათვის მიეჭიან უურადლება. ვინ არ იცის, როგორი სახეობილები გეაქვს ჩვენ ახლა და როგორ წავლდნენ და იცანჯუიან იქ, ხანდის-ხან ტყუელ-ურადლოთ, ზოგიერთი დატუსაღებულები? შემიხსენებულ კომისიას ამ საქმის თაობაზე წარუდგენია უმადლესი მოთხოვნისათვის თავის გადაწყვეტილებას.

ამ უკანასკნელ დროს ერთობ გახშირდა დუგლები მწერლებთ შორის. განსაკუთრებით საფრანგეთში, მგონი, თვე არ გაივლის, რომ სხვა და სხვა ზარტის ურუნდისტების დუგლი არ მოხდეს. ერთი ამისთანა დუგლი გასულ მაისს ზეტერბურდიდან მოხდა და ამასე ახლა რუსულ გაზეთებში ბეგნს დაზარალებენ: ეს დუგლი მოხდა ორს მწერალს—ა. ფოსოვს და გ. შტინს შუა, რომელნიც ორივე ეს ზეტერბურდის უწყებების თანამშრომელი იყვნენ. სეკუნდენტათ თითქმის ყველა ამ გაზეთისე თანამშრომელი ყოფილან: ბურენინი, ვატსონი, დერობერტი და ნეკლეულოვი. ფოსოვსა და შტინს უკამყოფილება განჩარგვის საქმის თაობაზე მოსვლიათ; მკითხველმა იცის, რომ სტუდენტს განჩარგვს მმართველობის წინააღმდეგ ვრცელადმცემის გავრცელებას ახრადლებენ; შტინი იმის ადვოკატი იყო. სეკუნდენტს ძალიან მოუწოდებიათ, მაგრამ ვერ მოუწიებიათ შტინი და ფოსოვი. თუმცა არცერთს არ სცოდნია გარკვთ სწოლად და შტინს არც კი უმიხსნია თვის მოწინააღმდეგეობის, მაგრამ იმას თავში მოურტყამს რველვერით ტყვია ფოსოვისათვის და, როგორც ამბობენ, ძალიან დაუჭრია, ასე რომ მორჩინის იმედი არ არისო. ამ ამბავს ისეთი სხეობითი გავლენა ჰქონია შტინსე, რომ დუგლის შემდეგ თვითონც ავთ გამხდარა, ამ საქმის თაობაზე გამოძიება არის დანიშნული.

ამ შენიშვნის დაწერის შემდეგ, ზეტერბურდიდან ამბავი მოვიდა, რომ ფოსოვი მომკვლანდა.